

Broiler Max ლაითი

BROILER MAX ლაითი - მზა საკვები ბროილერისთვის

რა არის BROILER MAX ლაითი?

Broiler Max ლაითი წარმოადგენს მზა საკვებს ბროილერისთვის, რომელიც დამზადებულია როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური წარმოშობის ნედლეულით და მოიცავს ბროილერის გამომზადის სრულ ციკლს, შეიცავს ყველა აუცილებელ საზრდო ნივთიერებას და აკმაყოფილებს ფრინველის მოთხოვნას საზრდო ნივთიერებებზე ზრდის ყველა ეტაპზე.

Broiler Max ლაითი პროდუქცია იყოფა 3 ფაზად:

- Broiler Max ლაითი - სტარტი (7-17 დღე)
- Broiler Max ლაითი - გროუერი (17-27 დღე)
- Broiler Max ლაითი - ფინიში (27 დღიდან - დაკვლამდე)

რატომ Broiler Max ლაითი?

Broiler Max ლაითის მეშვეობით გექნებათ გამომზადის ნაკლები დანახარჯები, ვინაიდან ბროილერ მაქს ლაითი წარმოადგენს საკვებს, რომელიც უნიკალური შემადგენლობით უზრუნველყოფს ფრინველის წონის მატებას, გამომზადის ნაკლები დანახარჯებით;

Broiler Max ლაითის პროდუქცია გათვლილია ფრინველის კონკრეტულ წონაზე, ასაკსა და მდგომარეობაზე;

Broiler Max ლაითი ხელს უწყობს ფრინველის მაქსიმალურ წონამატს, კუჭ-ნაწლავის სისტემის განვითარებასა და ძლიერი იმუნური სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის მეშვეობითაც იღებთ საუკეთესო ხარისხის ხორცს.

მოხმარების წესი:

სასურველია, რომ 1- დღიდან მე-7 დღის ჩათვლით წინილა იკვებებოდეს წინილის პრესტარტერით, რომლის გამოყენებით ბროილერის წინილა 7 დღის განმავლობაში აღწევს მინიმუმ 170 გრამს.

ბროილერის გამომზადის სარეკომენდაციო ტექნოლოგია

საკვების სახეობა	საკვების რაოდენობა, გრამი	ფრინველის ცოცხალი წონა
წინილის პრესტარტერი (1-7 დღე)	160	170
Broiler Max ლაითი სტარტი (7-17 დღე)	500-550	500-550
Broiler Max ლაითი გროუერი (17-27 დღე)	1200-1250	1200-1300
Broiler Max ლაითი ფინიში (27 დღიდან დაკვლამდე)	1500-1550	2000***

იგულისხმება ერთ დღიანი წინილის საწყისი წონა (40 გრამი)

***2000 გრამი ნაჩვენებია პირობითად, რადგან ბროილერის დაკვლის პერიოდი განისაზღვრება ცალკეული ფერმერის სურვილის მიხედვით.

Broiler Max ლაითი

კვების რეკომენდაციები:

- ბროილერის საკვები მიეცით შეუზღუდავად, მშრალი სახით, ყოველგვარი დანამატების გარეშე.
- სასურველი შედეგის მისაღწევად საკვების გარდა მნიშვნელოვანი ფაქტორებია: ხარისხიანი დეზინფექცია, ჯანმრთელი წინილა, ვაქცინაცია, წყლის ხარისხი, ტემპერატურული რეჟიმი, ვენტილაცია და ჰიგიენური პირობების დაცვა.

გამოყენებული ინგრედიენტები:

პოლანდიური პრემიუსი, სიმინდი, ხორბალი, სოიოს შროტი, ცხოველური წარმოშობის ნედლეული, მცენარეული ზეთი, კოკციდიოსტატები და სხვა ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობით.

შენახვის ვადა: დამზადებიდან 5 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

შენახვის წესი: მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

შეფუთვა: 25 კგ-პოლიპროპილენის ორმაგი ტომარა.